ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №139-ს

„ 6 ” „ ოქტომბერი“ 2017 წ .

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, **სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა”** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **რევაზ ბეჟაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია** (შემდგომში “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი გულედანის** სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების („წითელი ნუსხის" მცენარეთა გარემოდან ამოღების საკომპენსაციო საფასური) ფარგლებში „შემსყიდველის“ საჭიროებისათვის ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის მომსახურება (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები) და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 200 (ორასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტია შემსყიდველის მიერ წარდგენილი 5 (ხუთი) სხვადასხვა ნაკვეთიდან აღებული ნიადაგის ნიმუშის „ფიტოჰელმინთოლოგიური გამოცდის“ მომსახურება. ერთი ნიმუშის ნიმუშის „ფიტოჰელმინთოლოგიური გამოცდის“ ღირებულება შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება „მიმწოდებელთან“ ნიმუშის მიტანიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებლის მისამართზე: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. 49.

4.2. ლაბორატორიის მიერ კვლევის შესახებ გასცემს შედეგების ამსახველ გამოცდის ოქმს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი; „მიმწოდებელი“ შემსყიდველს უგზავნის საგადასახადო ანგარიშფაქტურას.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი” უზრუნველყოფს „მიმწოდებლის“ დაფინანსებას ხელშეკრულების 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი“.
7,1,3 ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად შემსყიდველს გადასცეს შესაბამისი გამოცდის ოქმი.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული დაფინანსება.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. მომახურების გაწევის ვადების, გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის კონტროლი.

15.2.2 მიღება–ჩაბარების აქტებისა და ინსპექტირების დასკვნების გაფორმება;

15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის სატყეო მეურნეობისა და ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ დემეტრაძე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი _ ,,შემსყიდველთან''

`შემსყიდველი~
სსიპ "ეროვნული საშენი მეურნეობა"
გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა
სახელმწიფოხაზინა
სახაზინოკოდიTRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კ № 226575024

რევაზ ბეჟაშვილი
დირექტორის

„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორია
ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. 49
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ანგარიშის 7 0752 7102
ს/ კ #ს/ კ 205162802

ირაკლი გულედანი
დირექტორი